მსოფლიოს წინაშე მდგარ უმთავრეს ამოცანათაგან განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება გარემოს დაცვას. ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე ყოველდღიურად იზრდება, განსაკუთრებით დღეს, რეგიონში მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე, რაც იწვევს ეკოლოგიურად სავალალო შედეგებს. ადამიანის ინტენსიური ზემოქმედება ბუნებაზე გამოიხატება როგორც ბუნებრივი რესურსების არარაციონალური ხარჯვით, ასევე, მისი უკანონოდ მოპოვებით და განადგურებით. ბუნების მასშტაბური განადგურების სახედ შესაძლებელია მივიჩნიოთ უკრაინაში „კახოვკის ჰესის“ დამბის აფეთქება, რომელსაც თან სდევდა შესქცევადი პროცესები, კერძოდ, განადგურდა წყლის, ნიადაგის, მცენარეული საფარის და ცხოველების ადგილსამყოფელი, რაც საერთო ფამში შეფასდა ეკოციდად.¹

სახელმწიფოებმა და მათმა ლიდერებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა აიღონ მეტი ვალდებულება მიწის, მცენარეული საფარის და წყლის ბუნებრივ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად, რადგან ეს ერთადერთი გზა დარჩა, ახლო მომავალში, მდგრადი კლიმატის შესანარჩუნებლად და, შესაბამისად, იმ ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან ასაცილებლად, რომელიც მსოფლიოს ემუქრება გლობალური დათბობის სახით. ამ მიზნით, მკვლევართა მიერ შემუშავებულია როგორც მოკლევადიანი, აგრეთვე გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, რაც თავის თავში გულისხმობს მთელ რიგ პრევენციულ, დაცვით თუ აღდგენით ღონისძიებას.²

გარემოს დაცვის და რაციონალური ბუნებათსარგებლობის საკითხის ჰარმონიზაცია სახელმწიფოს და საზოგადოების ეკოლოგიურ ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესებთან, თითოეული სახელმწიფოს პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამასთან, გარე-

მოს დაცვის პრობლემა, დიდი ხანია, გაცდა ამა თუ იმ ქვეყნის საზღვრებს და დღეისათვის იგი წარმოდგენილია, როგორც საერთაშორისო გამოწვევა. ყველა დემოკრატიული სახელმწიფო მიისწრაფვის, ჩაერთოს გარემოს საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის საქმეში და გადაარჩინოს ბუნება და, მაშასადამე, შეინარჩუნოს მსოფლიოში ცხოვრების სათანადო ხარისხი.

ამ მხრივ, საქართველოში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სისხლის თუ სხვა კანონმდებლობის სინქრონიზაციას საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებთან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე კარი ეთმობა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.³ კარი შედეგება ერთი თავისგან და 26 მუხლისგან⁴. ვეთანხმებით ავტორთა მოსაზრებას, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგანი არის ბუნებრივი წარმოშობის და გარემოში არსებული ისეთი ობიექტები, რომელიც შექმნილია ბუნებრივად და შესაბამისად, მათზე არ დახარჯულა ადამიანური თუ მატერიალური რესურსი, მაგალითად: ჰაერი, მიწა, წყალი, მცენარეები, ცხოველები და სხვა.⁵ ამასთან, აღვნიშნავთ, რომ გარდა ბუნებრივი რესურსებისა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული ისეთი რესურსებიც, რომლის მოყვანაში, გახარებაში, კულტივაციაში, გაშენებაში და ა. შ. დაიხარჯა ადამიანური და მატერიალური რესურსი (მაგ. პარკები, ქარსაცავი ზოლები, ბალები და ა. შ.).⁶

სამეცნიერო სტატიაში განხილულია, კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედება, ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის⁷ დისპოზიციის სა-

1 Hallam J, and others, Collapse of critical Ukrainian dam sparks region-wide evacuations. Here's what we know, 2023, ელ. მის: <https://edition.cnn.com/2023/06/06/europe/ukraine-nova-kakhovka-dam-breach-intl-hnk/index.html>. (ბოლო ნახვა: 15.06.2023).

2 Dinerstein E. and others, A Global Deal For Nature: Guiding principles, milestones, and targets, SCIENCE ADVANCES, 2019, Vol 5, Issue 4, ელ. მის: <https://www.science.org/doi/10.1126/sciadv.aaw2869>. (ბოლო ნახვა: 12.06.23).

3 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, კარი მეთავე.

4 ი. იქვე, თავი XXXVI, დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ.

5 ლეკვეიშვილი მ, თოდეა ნ, მამულაშვილი გ, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, მეზუთე გამოცემა, თბ. 2017წ, გვ. 171-172.

6 საქართველოს მთავრობის დადგენილება № 54, ტექნიკური რეგლამენტის – „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ, 2014, მუხ. 6.

7 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999,

ვალდებულო შემადგენლის, მნიშვნელოვანი ზიანის არსის, ოდენობის, გაანგარიშების წესის და მნიშვნელობის შესახებ პრობლემატური საკითხები.

აღნიშნულმა მუხლმა, ბოლო წლების განმავლობაში, არაერთი ცვლილება განიცადა. განსაკუთრებით საყურადღებო არის 2018 წლიდან განხორციელებული ცვლილებათა კასკადი, რაც, ერთი მხრივ, გამოწვეული იყო 2017 წელში, გარემოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზრდის ტენდენციით⁸ და, მეორე მხრივ, გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობის გათვალისწინებით.⁹

სტატიაში ასევე განხილულია, თუ რა პოზიტიური და ნეგატიური შედეგები ჰქონდა მუხლში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს. უზრუნველყო თუ არა ახალმა წესებმა გარემოზე მიყენებული ზიანის შემცირება; შეუწყო თუ არა ხელი ტყის მდგრადი განვითარების პროცესს და შეამცირა თუ არა ტყით უკანონო სარგებლობის შემთხვევები. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზიანის დაანგარიშების, ზიანის სახეობის და ოდენობის და ანაზღაურების წესებს და მის მნიშვნელობას სისხლის სამართლის საქმეზე.

მუხლთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები

მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, დანაშაულებრივი ქმედება ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის მუხლმა განიცადა ოთხი საკანონმდებლო ცვლილება. თავდაპირველად,

ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა, სისხლისსამართლებრივი წესით, ისტატიული იმ შემთხვევაში, თუ გაუფრთხილებლობით გამოიწვევდა მნიშვნელოვან ზიანს,¹⁰ ცვლილების შემდეგ, მუხლის დისპოზიციიდან ამოღებული იქნა სიტყვა „გაუფრთხილებლობით“ და შესაბამისად განსახილველი დანაშაულის სუბიექტური მხარე განისაზღვრა, როგორც განზრას ჩადენილი დანაშაული. ამასთან, რიგი ავტორები აღნიშნულ ცვლილებას ნაწილობრივ აკრიტიკებენ და მიაჩნიათ, რომ მოცემული ცვლილებით, ვეღარ იქნება შესაძლებელი სსკ-ის 303-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება იმ პირთა მიმართ, ვინც უკანონოდ გაჩეხა ხე-ბუჩქნარი, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.¹¹ უნდა აღინიშნოს, რომ ხე-ბუჩქნარის გაჩეხვა გამოიხატება აქტიურ და განზრას მოქმედებაში, როდესაც პირ(ები) წინასწარი განზრახვით, სათანადო ხელსაწყოებით, ტექნიკით ან ინსტრუმენტებით, უნებართვოდ მიდიან ხის ან ბუჩქის მოსაჭრელად. მათთვის წინასწარ არის ცნობილი, რომ არ აქვთ ხის მოჭრის სათანადო ნებართვა/ლიცენზია და ის ფაქტიც, რომ ნებისმიერი ხის ან ბუჩქის მოჭრას მოყვება გარკვეული სახის ზიანი, რაზეც დაწვრილებით სტატიის შემდეგ ნაწილში ვისაუბრებოთ. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე, რაც გამოიხატება წინასწარ განზრახვაში, არ იძლევა გაუფრთხილებლობით ზიანის დადგომის შესაძლებლობას. ვეთანხმებით ავტორთა მოსაზრებას, რომ აღნიშნული ცვლილება იყო დასაბუთებული და აუცილებელი, ვინაიდან დისპოზიციის პირვანდელი რედაქცია გულისხმობდა ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის შედეგად გაუფრთხილებლობით დამდგარი მნიშვნელოვანი ზიანის არსებობის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და შესაბამისად, გამორიცხავდა განზრას ჩადენილი ქმედებით გამოწვეული ზიანის პირობებში ნორმის ამოქმედებას¹².

8 2017 წლის რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკა, ცხრილის 68-ე გრაფა, ელ. მის: <https://www.geostat.ge/media/16776/danaSauli-2017.pdf>, (ბოლო ნახვა: 12.06.23).

9 2017 წლის დეკემბერში პარლამენტის წინაშე პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის რანგში გამოსვლისას გიორგი კვირიკაშვილმა ხე-ტყის უკანონო გაჩეხვას თმი გამოუცხადა. თფიციალური მონაცემებით, საქართველოს გარემოსტვის მიყენებულმა ზარალმა 2017 წელს 8,5 მილიონი ლარი შეადგინა, ამასთან სატყეო კანონმდებლობის დარღვევის 1,7 ათასზე მეტი შემთხვევა გამოვლინდა (როგორც სისხლის აგრეთვე ადმინისტრაციული დარღვევის ფაქტების ნაკრებია ნაგლილისხმევი ავტ. შენ.) იხ. ელ. მის: <https://sputnik-georgia.com/20180202/xe-tvis-ukanonogacevna-mTavrobis-praktikuli-nabijebi-239164563.html>, (ბოლო ნახვა: 12.06.23).

10 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, მუხ. 303. (2000 წლის 30 ივნისამდე მოქმედი რედაქცია).

11 ლევაციშვილი მ, მამულაშვილი გ, თოდუა ნ, მუმლაძე დ, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, პირველი გამოცემა, (წიგნი II), თბ. 2005, გვ. 43.

12 დვალაძე ი, თუმანიშვილი გ, ვენეტაძე ნ, „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში“, თბ. 2015წ, გვ. 85.

2018 წელს განხორციელებული საკანონ-მდებლო ცვლილებით, არსებითად შეიცვალა მუხლის დისპოზიცია და სტრუქტურა. კერძოდ, ქმედების კვალიფიკაციისთვის ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩერების შედეგად გამოწვეული ზიანის ოდენობას არ ჰქონდა მნიშვნელობა ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩერება ჩადენილი იქნება პირის მიერ, რომელიც ადმინისტრაციულსახდე-ლდადებულია: დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების საზღვრების ფარგლებში მერქნიან მცე-ნარეთა უკანონო გაჩერებისა და დაზიანების,¹³ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, საქართვე-ლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტების გარეშე ხეტყის განმეორებით დამზადების,¹⁴ მუნიციპალიტე-ტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე (გარდა კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიისა) მწვანე ნარგავე-ბის განმეორებით დაზიანების, თვითნებური მოქრის და განადგურების¹⁵ და ქალაქ თბი-ლისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მწვანე ნარგავების განმეორებით დაზიანების, თვითნებური გაჩერების ან / და გა-დატანის (მათ შორის, მწვანე ნარგავის ისე დაზიანება ან თვითნებურად გაჩერება, რომ ვერ დაინდება დაზიანებული ან თვითნებურად გაჩერებილი მწვანე ნარგავის სახეობა), მწვანე ნარგავების მოვლა-აღდგენის წესების დარ-ღვევის ფაქტებზე.¹⁶ ამავე ცვლილებით, მუხლს დაემატა მესამე და მეოთხე ნაწილები, რომ-ლის მიხედვით, დანაშაულებრივ ქმედებად იქნა რეგლამენტირებული, სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ან დაცულ ტერიტორიებზე საქართველოს „ნითელ ნუსხაში“ შეტანილი ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩერება¹⁷, იმ პირის მიერ, რომელიც არის ადმინისტრაციულსახ-დელდადებული დაცული ტერიტორიების და-დგენილი საზღვრების ფარგლებში მერქნიან მცენარეთა უკანონო გაჩერების და დაზიანების ფაქტზე და ვინც განმეორებით ჩაიდინა აღ-

13 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარ-ღვევათა კოდექსი, 1984, მუხ. 64¹, ნაწ. 1.

14 იხ. იქვე, მუხ. 66, ნაწ. 2.

15 იხ. იქვე, მუხ. 151, ნაწ. 2.

16 იხ. იქვე, მუხ. 151¹, ნაწ. 2.

17 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, მუხ. 303, ნაწ. 3-4.

ნიშნული ქმედება.¹⁸ აღსანიშნავია, რომ მუ-ხლის მეოთხე ნაწილისთვის დაწესებულმა სანქციამ, იგი მიაკუთვნა მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.¹⁹

2020 წელს, მუხლის მესამე ნაწილი შეი-ცვალა და დისპოზიციაში წინადადება „სა-ხელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ან დაცულ ტერიტორიებზე“ შეიცვალა ჩანაწერით „საქა-რთველოს ტყეში ან დაცულ ტერიტორიაზე“.²⁰

2021 წელს, მუხლის პირველ ნაწილში შე-ვიდა ცვლილება²¹ და ადმინისტრაციული და-რღვევების ჩამონათვალს დაემატა ქარსა-ფარ (მინდორდაცვით) ზოლში ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩერების განმეორებითი ჩადენის ფაქტი.²²

ნლების მანძილზე, მუხლში განხორციელე-ბული ცვლილებების უმთავრესი მიზანი იყო ხე-ტყის უკანონოდ გაჩერების ფაქტების წინაშე ბრძოლის გაძლიერება და აღნიშნული დანაშა-ულებრივი ქმედებების მინიმუმადე დაყვანა. მაგრამ სტატისტიკა ცხადჰყოფს, რომ აღნიშ-ნული მიზნის მისაღწევად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, სათანადოდ ეფექტური ვერ აღმოჩნდა, წლების მანძილზე შეინიშნება დანაშაულის კლება, თუმცა მაჩვე-ნებელი კვლავ საყურადღებო რჩება.²³

ზიანის არსი და მნიშვნელობა მუხლის დისპოზიციაში

საქართველოს ტერიტორიის 40%-მდე ტყით არის დაფარული,²⁴ შესაბამისად, უნდა

- 18 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარ-ღვევათა კოდექსი, 1984, მუხ. 64¹, ნაწ. 2.
- 19 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, მუხ. მუხ. 12, ნაწ. 3.
- 20 საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სა-მართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2020, #5963-სს.
- 21 საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სა-მართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2021, #971-ვიმს-ხმ3.
- 22 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარ-ღვევათა კოდექსი, 1984, მუხ. 64², ნაწ. 3.
- 23 რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკა, 2018-2022 წლები, ცხრილების 68-69-ე გრაფა, ელ. მის: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/679/siskhlis-samartlis-statistikis-ertiani-angarishi>, (ბოლო ნახვა: 13.06.23).
- 24 ურუშაძე თ, ლორია ვ, „ეკოლოგიური სამართალი“, თბ 1999, გვ.214.

ითქვას, რომ იგი, საქართველოში გავრცელებულ სხვა ბუნებრივ რესურსებზე შედარებით, მეტად ხელმისაწვდომი და, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, ნაკლებად დაცული სიკეთე არის. იმის გათვალისწინებით, რომ ხის მერქნის გამოყენება შესაძლებელია მრავალი დანიშნულებით, ხოლო, მისი ნაკლები დანახარჯებით მოპოვება უფრო მომგებიანია, სამწუხაროდ, საქართველოში ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვამ გავრცელებული დანაშაულის სახე მიიღო.

ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა მატერიალური შემადგენლობის მქონე დანაშაულებრივი ქმედებაა, რაც გულისხმობს მისი ჩადენის დროს მატერიალური შედეგის დადგომის აუცილებლობას, აღნიშნული კი გულისხმობს სამართლებრივი სიკეთისათვის (მოცემული მუხლისათვის გარემოსთვის) ზიანის მიყენებას.²⁵ დანაშაულის სუბიექტს წარმოადგენს 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი, დანაშაულის სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახვაში, ხოლო გაუფრთხილებლობით აღნიშნული დანაშაულის ჩადენა არის გამორიცხული, ვინაიდან მუხლს არ გააჩნია სათანადო დათქმა.²⁶ დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს ნებისმიერი ხე და ბუჩქი, რომლის მოსაჭრელად საჭიროა სპეციალური ლიცენზიის ან ნებართვის გაცემა, ხოლო, ობიექტური მხარე გულისხმობს აქტიურ მოქმედებას, მიმართულს ხის ან ბუჩქის მოქრისკენ, ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა ხერხით იქნება იგი განხორციელებული (მაგ.: ცული, ბირდაბირი, ელექტრო ხერხი თუ სხვა). ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელი წინაპირობა არის ზიანის ფაქტის დადასტურება და აღნიშნული ზიანის ოდენობის გამოთვლა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, ამა თუ იმ თავის მიზნებისთვის, ზიანის ოდენობები რეგლამენტირებულია თავად მუხლის შენიშვნებში. მაგალითად, ეკონომიკური დანაშაულის თავისთვის მნიშვნელოვან ზიანად ითვლება, როდესაც ნივთის ღირებულება აღემატება 150 ლარს, ხოლო დიდ ოდენობად – 10 000 ლარს.

25 ტურავა მ, „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თანდართული ტესტების ნიმუშებითა და კაზუსის ამოხსნის მეთოდის გამოყენებით.“, მერვე გამოცემა, თბ. 2010 წ, გვ. 76.

26 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, მუხ. 10, ნაწ. 4.

ზემოთ ოდენობა²⁷ ფულის გათეთრებისთვის დიდ ოდენობად ითვლება შემოსავალი 30 000 ლარიდან 50 000 ლარამდე, ხოლო, განსაკუთრებით დიდ ოდენობად – შემოსავალი 50 000 ლარს ზევით.²⁸ გადასახადისთვის თავის არიდებისთვის – დიდ ოდენობად ითვლება, როდესაც გადასახდელი გადასახადის თანხა აღემატება 100 000 ლარს, ხოლო, განსაკუთრებით დიდ ოდენობად – როდესაც თანხა აღემატება 150 000 ლარს.²⁹ ანალოგიური საკანონმდებლო დათქმა გარემოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავს არ აქვს. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს, სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებით, თავის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შესაბამისად.³⁰ ამასთან, სსკ-ის 303-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა პირს, თუ გარემოსთვის მიყენებული ზიანის მოთხოვნის მიღებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში იგი გადაიხდიდა დაკისრებულ თანხას, ან ამავე ვადაში მასთან დაიდებოდა გარემოსთვის მიყენებული ზიანის თაობაზე შეთანხმება.³¹ კანონის აღნიშნული ჩანაწერი გაუქმებული იქნა 2013 წელს.³² შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსი მოცემული მუხლისათვის არ განმარტავდა, თუ რა ოდენობა ჩაითვლებოდა მნიშვნელოვან ზიანად. თუნდაც ერთი ხის ან ბუჩქის უნებართვოდ მოქრა, რა თქმა უნდა, გამოიწვევს გარკვეულ ზიანს, მაგრამ როგორ უნდა დავადგინოთ და გავმიჯნოთ, აღნიშნული ზიანი არის თუ არა მნიშვნელოვანი, ანუ, წარმოადგენს თუ არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს და არის თუ არა უმნიშვნელო, ანუ, წარმოადგენს თუ არა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძველს. ავტორთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ მნიშვნელოვანი ზიანის

27 იხ. იქვე, მუხ. 177-ის შენიშვნა.

28 იხ. იქვე, მუხ. 194-ის შენიშვნა.

29 იხ. იქვე, მუხ. 218-ის შენიშვნა.

30 იხ. იქვე, მუხ. 291-ის შენიშვნა, ნაწ. 1 (2013 წლის 15 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

31 იხ. იქვე, მუხ. 291-ის შენიშვნა, ნაწ. 2 (2013 წლის 15 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

32 საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2013, #472-რს.

საკითხი სასამართლომ უნდა შეაფასოს.³³ აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად, დანაშაულის შემადგენლობისთვის და, შესაბამისად, პროკურორისთვის პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილების გამოსატანად, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებას წარმოადგენს ზიანის განმსაზღვრელი/დამადასტურებელი დოკუმენტი. მტკიცების ტვირთი აკისრია ბრალმდებელს, ისევე როგორც ბრალდების მხარის მტკიცებულებათა დასაშვებობის და დაცვის მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლობის დასაბუთების მოვალეობა.³⁴ ლოგიკურად ჩნდება კითხვა: რა დოკუმენტზე დაყრდნობით ხორციელდებოდა და ხორციელდება დღეს საქართველოში ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის შედეგად გამოწვეული ზიანის დაანგარიშება. აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი წლების მანძილზე არაერთხელ შეიცვალა.³⁵ მოქმედი ნორმატიული აქტით განისაზღვრა გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა და მნიშვნელობა. ზიანის მნიშვნელობას განსაზღვრავს მერქნიანი მცენარეების ან/და ბუჩქების უკანონოდ გაჩეხვა, რასაც იწვევს მათი ზრდის და სასიცოცხლო ფუნქციის შეწყვეტას. ამასთან, აღნიშნული ქმედება, რაც

33 ლეკვეისვილი მ, მამულაშვილი გ, თოდუა ნ, მუმლაძე დ, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, პირველი გამოცემა, (წიგნი II), თბ. 2005, გვ. 42.

34 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 5, ნაწ. 2; მუხ. 33, ნაწ. 1; მუხ. 72, ნაწ. 3.

35 მაგალითად: 2002-2006 წლებში მოქმედებდა „უკანონო ტყითსარგებლობის შედეგად სახელმწიფო ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშებისა და ანაზღაურების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №99, 2006-2011 წლებში – „გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების მეთოდიკის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №538, 2011-2014 წლებში – „გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №2, ხოლო 2014 წლიდან დღემდე – ტექნიკური რეგლამენტის – „გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის დაგენილება № 54.

გამოიხატება მცენარის უკანონოდ მოქრაში, ამოძირკვაში ან განადგურებაში შედეგად გარემოს უნდა აყენებდეს ზიანს 1000 ლარის ოდენობით ან მეტს.³⁶ ზიანის ოდენობის განსაზღვრისთვის მნიშვნელობა აქვს უკანონოდ გაჩეხილი ხე-ბუჩქნარის ოდენობას, მერქნის ჭიშს, მის ადგილმდებარეობას და სხვა.³⁷ გაანგარიშების შედეგად ზიანის ოდენობა თუ აღმოჩნდება 1000 ლარზე ნაკლები, ასეთ შემთხვევაში, პირს დაეკისრება მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზიანის ოდენობას მნიშვნელობა არ აქვს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადმინისტრაციულ-სახდელდადებული პირი, კვლავ ჩაიდენს ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვას. მიუხედავად იმისა, რომ ზიანმა შესაძლებელია ვერ შეადგინოს 1000 ლარი, პირის მიმართ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, რადგან ასეთი საკანონმდებლო დათქმა არსებობს მუხლის დისპოზიციაში.

საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული განეკუთვნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას.³⁸ გარემოზე მიყენებული ზიანის გაანგარიშება სცდება გამომძიებლის სპეციალური ცოდნის ფარგლებს. ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, სათანადო გაანგარიშებას აკეთებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ან/და ამავე სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლები. ზიანის გაანგარიშების წერილობითი დოკუმენტი, მტკიცებულების სახით ერთვის სისხლის სამართლის საქმეს და წარმოადგენს კონკრეტული საქმისთვის მნიშვნელოვან აქტს, რომლის მიხედვით დასტურდება ზიანის ოდენობა და რომ ეს ზიანი არის მნიშვნელოვანი.

36 საქართველოს მთავრობის დადგენილება № 54, ტექნიკური რეგლამენტის – „გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ, 2014, მუხ. 5, ნაწ. 6.

37 იხ. იქვე, დანართი 10.

38 საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება #3 „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“, 2019, დანართი, პუნქტი #1.

გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი, რა თქმა უნდა, არ ცვლის ქმედების სისხლისამართლებრივ კვალიფიკაციას, მაგრამ როგორც წესი, სასამართლოს მიერ ხდება მისი გათვალისწინება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების დროს.

დასკვნა

შეკამებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულებრივი ქმედება ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის შემადგენლობისთვის, აუცილებელი გარემოება – ზიანის დაანგარიშება, ხორციელდება მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. ზიანის დაანგარიშებას ახდენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინიტროს უფლებამოსილი პირი, თავის კომპეტენციის ფარგლებში, აგრეთვე, საგამოძიებო ორგანოების მიმართვის შემთხვევაში. გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა განსაზღვრულია 1000 ლარით, ან მეტი თანხით. შესაბამისად, თუ ზიანის ოდენობა შეადგენს მხოლოდ 999 ლარს, ან ნაკლებს, ასეთ შემთხვევაში, პირის

მიმართ არ იწყება ან/და წყდება სისხლის სამართლის საქმე და სისხლისამართლებრივი დევნა. ამასთან, აღნიშნულ პირს დაეკისრება ადმინისტრაციული სახდელი. სისხლის სამართლის კოდექსი, განსხვავებით სხვა კატეგორიის დანაშაულებზე დაწესებული დათქმებისა, ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტზე ზიანის კონკრეტულ ოდენობას არ აწესებს, რაც ხშირად ქმნის გაურკვევლობას საკითხით დაინტერესებულ პირთა წრეში. მიგვაჩნია, რომ გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, გარემოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავისთვის ან/და კონკრეტული მუხლებისთვის, სისხლის სამართლის კოდექსში, ნათლად მოხდეს ზიანის ოდენობის რეგლამენტაცია.

გარდა აღნიშნულისა, ხე-ტყის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტებთან ეფექტური ბრძოლის და დანაშაულის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია საკანონმდებლო დონეზე მოხდეს, აღნიშნული მუხლით მსჯავრდებულებისთვის, სასამართლოს ძირითად სახესთან ერთად, ისეთი დამატებითი ვალდებულებების დაწესება, როგორიც შეიძლება იყოს, მაგალითად გარემოზე მიყენებული ზიანის პროპორციულად ხე-ბუჩქნარის გაშენება და მათი მოვლა.

ბიბლიოგრაფია:

1. დვალაძე ი, თუმანიშვილი გ, გვენეტაძე ნ, „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში“, თბ. 2015 წ.;
2. ურუშაძე თ, ლორია ვ, „ეკოლოგიური სამართალი“, თბ 1999;
3. ლეკვეიშვილი მ, მამულაშვილი გ, თოდუა ნ, მუმლაძე დ, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, პირველი გამოცემა, (ზიგნი II), თბ. 2005 წ.;
4. ლეკვეიშვილი მ, თოდუა ნ, მამულაშვილი გ, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, მეხუთე გამოცემა, თბ. 2017 წ.;
5. ტურავა მ, „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თანდართული ტესტების ნიმუშებითა და კაზუსის ამოხსნის მეთოდის გამოყენებით.“, მერვე გამოცემა, თბ. 2010 წ;
6. Hallam J, and others, Collapse of critical Ukrainian dam sparks region-wide evacuations. Here's what we know, 2023, ელ. მის: <https://edition.cnn.com/2023/06/06/europe/ukraine-nova-kakhovka-dam-breach-intl-hnk/index.html>, (ბოლო ნახვა: 15.06.2023);
7. Dinerstein E. and others, A Global Deal For Nature: Guiding principles, milestones, and targets, SCIENCE ADVANCES, 2019, Vol 5, Issue 4, ელ. მის: <https://www.science.org/doi/10.1126/sciadv.aaw2869> , (ბოლო ნახვა: 12.06.23 წ).

საკანონმდებლო აქტები:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999;
2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984;
3. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შესახებ“, 2020, #5963-სს;
4. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შესახებ“, 2021, #971-ვ/მს-Хმპ;
5. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შესახებ“, 2013, #472-რს;
6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;
7. „უკანონო ტყითსარგებლობის შედეგად სახელმწიფო ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშებისა და ანაზღაურების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №99, 2002;
8. „გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების მეთოდიკის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №538, 2006;
9. „გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №2, 2011;
10. საქართველოს მთავრობის დადგენილება № 54, ტექნიკური რეგლამენტის – „გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ, 2014;
11. საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება #3 „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“, 2019.

ელექტრონული რესურსები:

1. 2017 წლის რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკა, ელ. მის: <https://www.geostat.ge/media/16776/danaSauli-2017.pdf>, (ბოლო ნახვა 15.06.2023).
2. 2017 წლის დეკემბერში პარლამენტის წინაშე პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მოხსენების შესახებ, იხ. ელ. მის: <https://sputnik-georgia.com/20180202/xe-tyis-ukanono-gacexva-mTavrobis-praqtikuli-nabijebi-239164563.html> (ბოლო ნახვა: 12.06.23).
3. რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკა, 2018-2022 წლები, ცხრილების 68-69-ე გრაფა, ელ. მის: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/679/siskhlis-samartlis-statistikis-ertiani-angarishi> (ბოლო ნახვა: 13.06.23).